შპს „ მ ნ “

ს/ნ 401988907

ქ.თბილისი,ხოშარაულის და ელიავას ქუჩებს,მდ.მტკვრის მარცხენა სანაპიროსა
და ვახუშტის ხიდს შორის (ნაკვეთი 10/23)
ელფოსტა: MNeliava@yahoo.com; : 2 356 984

#07/23

23 ივლისი 2020 წელი

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს

ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

მის: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #49ა

გავეცანით, თქვენს მ/წლის 8 ივლისის წერილს, რაზედაც წარმოგიდგენთ ჩვენს პოზიციას მომავალი მესაკუთრის მიერ შესასრულებელი პირობების შესახებ:

აღსანიშნავია, რომ საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთს მცირედით კვეთს ჩვენი ხაზოვანი ნაგებობა, ვსვამთ კითხვას: ხომ არ არის შესაძლებელი აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ იქნას ჩართული საპრივატიზაციო მიწის ნუსხაში. იმ შემთხვევაში თუ პრივატიზაცია უნდა განხორციელდეს ამჟამად დადგენილი ფართობის მიხედვით, ამ შემთხვევაში მიწის მომავალმა მესაკუთრემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები:

1. სატენდერო პირობაში ჩადებული უნდა იქნას მოთხოვნა, რომ არანაირი სახით არ შეიზღუდება და არც საფრთხე მიადგება გაზსადენის შეუფერხებელ ფუნქციონირებას მომავალში.

2. მომავალმა მესაკუთრემ უნდა მოამზადოს ხაზოვანი ნაგებობის იმ ნაწილის გადატანის პროექტი (ცვლილებების პროექტი), რომელიც კვეთს საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთს. აღნიშნული პროექტი უნდა შეთახმდეს ჩვენთან და ჩვენი თანხმობის მიღების შემდგომ, პროექტი შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მისაღებად უნდა წარუდგინოს ქ.თბილისის მერიას. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის მომზადებისა და მშენებლობის ხარჯი უპირობოდ უნდა გასწიოს საპრივატიზაციოდ გამოტანილი მიწის შემსყიდველმა. ამასთანავე ,სამუშაო შესრულებული უნდა იქნას საქართველოში მოქმედი ტექნიკური სტანდარტების/ნორმების სრული დაცვით;

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
შემოსავლის № 65429/04
„23" 07 2020
29. ფურცელი

3. მე–2 პუნქტში წარმოებული სამუშაოების დროს ადგილი აქვს ბუნებრივი აირის დანაკარგს, რაც მიწის შემსყიდველის მიერ ანაზღაურებული უნდა იქნას. გარდა ამისა, მის მიერვე ზარალი ანაზღაურებული უნდა იქნას სამუშაობის წარმოებისას თუ რაიმე სახის ზიანი მიადგა ხაზობრივ ნაგებობას (გაზსადენს), ან/და მესამე პირს. ამასთანავე მესამე პირის სიცოცხლისათვის/ჯამრთელობისათვის ან/და ქონებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში აიღებს სრულ სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

4. საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთზე აკრძალულ უნდა იქნას მომავალში ისეთი სახის ობიექტის ფუნციონირების დაშვება, რომელიც მოიცავს ხანძრის წარმოშობის მომეტებულ რისკს.

პატივისცემით,

დირექტორი

საქართველო. შპს "მნ" MN 401988907 GEORGIA "MN" LTD

ცანდიდ ცეცხლაძე